

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია ის გარემოება, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებზე ვრცელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, საჭიროებას აღარ წარმოადგენს რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები გაერცვლდეს სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლებზე, გარდა იმ შემთხვევებისა როცა რიგი საკითხები არ არის მოწესრიგებული სპეციალური კანონმდებლობით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, სახელმწიფო დაწესებულებას, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიურო. განხორციელებული ცვლილების თანახმად, კი ამ კანონის მოქმედება აღსრულების ბიუროს თანამშრომლებზე გაერცვლდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებზე ვრცელდება სპეციალური კანონმდებლობა, კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები გაერცვლდება სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლებზე, მხოლოდ იმ შემთხვევებში როცა რიგი საკითხები არ არის მოწესრიგებული სპეციალური კანონით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, სახელმწიფო დაწესებულებას, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენს აღსრულების ეროვნული ბიურო. კანონპროექტით განხორციელებული ცვლილების თანახმად, ვინაიდან აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლებზე ვრცელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება აღსრულების ბიუროს თანამშრომლებზე გაერცვლდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას. ხარჯების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში, ასეთ ხარჯებს გაიღებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ.) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს, პირიქით, ხდება ევროსაბჭოსა და ევროკავშირის სამართლებრივ სივრცესთან ჰარმონიზება (იხ. ზემოთ).

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო
ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს
ცვლილებების შემუშავებაში

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია/დაწესებულების
ან/და ექსპერტები შეფასება
არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის
წევრები – პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად
კუკავა.